ვილიამ მაკდონალდი



დაფიქრდი საკუთარ მომავალზე

ვილიამ მაკდონალდი

დაფიქრდი საკუთარ მომავალზე

ბათუმი
2012

William MacDonald
Titel of English original: Think of Your Future
copyright by William MacDonald
www.william-macdonald.org

თარგმანი ქართულად
ლიდია ბაგალიშვილი
ბათუმი, 2012

Ô îòî íà îáë îæêå:
Ïàòðîâ Ìàêñèì
http://max-15s.livejournal.com/

ტირაჟი: 500 ც.

როგორი ბედნიერი ვიქნები სიკვდილის დროს
რადგან ჩემი სიცოცხლის ლამპარი ენთო შენით.
ყველაფრით ბედნიერი ვიქნები რაც გავეცი, შრომა
თუ ფული, რათა ერთი ცოდვილი მაინც გადამერჩინა;
არ ვიდარდებ,რომ ჩემი ცხოვრების გზა ეკლიანი იყო,
რადგან შენი დახმარებით გავიარე ის.
როგორი ბედნიერი ვიქნები სიკვდილის დროს,
რადგან ჩემი სიცოცხლის ლამპარი ენთო შენით.

არჩეულია უილიამ მაკდონალდის მიერ

სარჩევი

ჭეშმარიტებები რომლებიც ცვლიან ცხოვრებას --------- 5
მხოლოდ ერთი სიცოცხლე ---------- 8
ძალიან მოკლედ ---------- 11
მარადისობა ---------- 14
ოქროს ხანა ---------- 16
განათლება რომელიც მნიშვნელოვანია
მარადისობისთვის ---------- 20
შენ ირჩევ შენს მომავალს ---------- 24
მისწრაფება: სიბრძნე თუ უგუნურება ---------- 26
ცხოვრების უდიდესი მისწრაფებები ---------- 30
ცხოვრების უდიდესი მცნება ---------- 36
საქმიანობის როლი ---------- 40
თავის გამართლება, თვალის ახვევა და ალიბი --------- 45
ვნებიანი ცხოვრება ---------- 48

ჭეშმარიტებანი რომლებიც ცვლიან ცხოვრებას

ჭეშმარიტებასთან შეხვედრა ხშირად სრულიად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. იგი ჩვეული წესით ცხოვრობს, მიჰყვება წუთისოფლის დინებას. რაღაც მომენტში, თითქოს შემთხვევით, აწყდება გულში ჩამწვდომ ფრაზას ან წინადადებას რომელიც აღმოჩნდება მისი ცხოვრების წესის ფასეულობათა სისტემის ცვლილების მიზეზი. ამის შემდეგ, იგი აღარასოდეს უბრუნდება ძველს. ასეთი რამ დაემართა ჰადსონ ტეილორსაც. ის უმიზნოდ ათვალიერებდა წიგნებს მამამისის ბიბლიოთეკაში, როდესაც უეცრად წააწყდა გამონათქვამს: **"ქრისტეს დასრულებული სამუშაო".** ეს ჭეშმარიტება მტკიცედ ჩაიბეჭდა მის გონებაში და წარმოიშვა საპასუხო წინადადება: "თუ ქრისტემ აღასრულა თავისი საქმე, მაშინ მე სხვა აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ვირწმუნო მაცხოვარი." ამის შემდეგ მისი სული სინათლითა და სიმშვიდით აღივსო. რამდენიმე წლის შემდეგ იგი ჩინეთში, ქვეყნის სიღრმეში, ქრისტეს სახარებას ქადაგებდა.

ქაუნთ ზინზენდორფის ცხოვრებაშიც მოხდა ასეთი რამ: ერთხელ, თავისი ახალგაზრდობის ჟამს, იგი იდგა სურათის წინ, რომელზეც ქრისტეს ჯვარცმა იყო გამოსახული. სურათის ქვეშ იყო წარწერა:

"ეს მე შენთვის გავაკეთე"

ძინზენდორფი უკიდურესად შეიპყრო ამ ჭეშმარიტებამ და ამის შემდეგ მან ქრიეტე თავის მაცხოვრად აღიარა. ამის შემდეგ ის უკეთესად დააკვირდა სურათს და დაინახა წარწერა რომელიც უფრო დაბლა ეწერა:

"რას გააკეთებ შენ ჩემთვის?"

ამ დამაფიქრებელი შეკითხვით აღძრულმა, მან თავისი ცხოვრება, საკუთარი ნებით და სიყვარულით მიუძღვნა ქრის-

ტეს. დღესდღეობით მისი სახელი პატივით მოიხსენიება მორავიული მისიონერული მოძრაობის მატიანეში.

ასევე მოხდა დუაით ლ. მუდის ცხოვრებაშიც. ინგლისში გამართული საევანგელიზაციო ბანაკის დასრულების შემდეგ, როდესაც იგი ცნობილ ინგლისელ მოძღვარს ჰენრი ვარლის ემშვიდობებოდა,. ვარლი მას შემდეგი სიტყვებით დაემშვიდობა: "მისტერ მუდი, ახლა მსოფლიო დაინახავს როგორ მოქმედებს ღმერთი ადამიანზე, რომელმაც თავისი ცხოვრება სრულიად მას მიუძღვნა". მუდიზე ამ სიტყვებმა საბედისწერო გავლენა იქონია; იგი სულით აღიძრა.

"სიტყვები თითქოს ოკეანის ტალღებზე ეწერა როდესაც იგი უკან ბრუნდებოდა, თითქოს ნიუ ორკის ტროტუარებზე სეირნობის დროს კითხულობდა მათ, ან ხედავდა ლანდშაფტებში, მატარებლით ჩიკაგოსკენ მგზავრობის დროს." ამ სიტყვებმა ზეგავლენა მოახდინა მთელ მის შემდგომ ცხოვრებაზე, რისი შედეგიც მის საქმიანობაში ჩანს.

ასობოთ სხვა ქრისტიანს შეუძლია ასეთივე ისტორიის მოყოლა. იყო დრო როცა ისინი მიაბიჯებდნენ ცხოვრების გზაზე გულგრილი სვლით, მაგრამ უეცრად წააწყდნენ უდიდეს ჭეშმარიტებას, რომლის დამაჯერებლობითა და ემოციურობით აღმოჩნდნენ აღტაცებულნი. მან მხურვალე ალში გაახვია მათი გულები და აზრები. ისინი აღარასოდეს დაუბრუნდებიან თავიანთ ძველ სულიერ მდგომარეობას. ჭეშმარიტების ხედვით გამსჭვალულნი, იღვაწებენ უფლის გეგმის განსახორციელებლად.

ეს შეიძლება ჩვენს ცხოვრებაშიც მოხდეს! ჭეშმარიტება მარადიულია, და ღრმა სულიერმა ხედვამ, რომელმაც რადიკალურად შეცვალა სხვათა ცხოვრება, შეიძლება შეცვალოს ჩვენი ერთფეროვანი ყოველდღიურობაც და განაპირობოს ჩვენი წარმატებული მარადისობა.

ამისათვის მხოლოდ ჩვენი სურვილია საკმარისი! საკმარისია მშვიდად და მორჩილად მოვისმინოთ! საკმარისია გვსურდეს მამაცურად გაეუსწოროთ თვალი ჭეშმარიტებას! საკმა-

რისია გვსურდეს გამოვიტანოთ ლოგიკური დასკვნები! საკმარისია უბრალოდ გვსურდეს მიზნისაკენ სწრაფვა. ყველაფერი ამაზეა დამოკიდებული! ვართ ჩვენ მზად ბოლომდე მივყვეთ ჩვენს მისწრაფებებს? სანამ კითხვას გავაგრძელებთ, უფლის წინაშე უნდა გავცეთ პასუხი შემდეგ კითხვებს:

მსურს უფალთან საუბარი?

დავემორჩილები მას უპირობოდ?

არის რაიმე რასაც მისი გულისთვის ვერ დავთმიბ?

მხოლოდ ერთი სიცოცხლე

ჩვენი მიწიერი ცხოვრების გააზრებისა და შეფასების ყოველ მცდელობას, შემაძრწუნებელ დასკვნამდე მივყავართ, საქმე იმაშია რომ, ჩვენ ხომ ამ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოვდივართ, ამიტომაც მწარე რეალობის წინაშე ვდგევართ: **მხოლოდ ერთი სიცოცხლე**

ქრისტე ამ რეალობის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ავლენს და გვირჩევს თუ როგორ უნდა გავატაროთ ეს განსაკუთრებული დრო.

ინ.9:4 ჩვენ გვმართებს, სანამდის დღეა, ვაკეთოთ ჩემი მომავლინებლის საქმე; მოდის ღამე, როცა ვეღარავინ შესძლებს კეთებას.

"სანამ დღეა." "მოდის ღამე". "მხოლოდ ერთი სიცოცხლე".

ნეტა ეს სიტყვები იყოს როგორც გავარვარებული რკინა, რომლის სიმხურვალეც გაიკაფავს გზას ჩვენს სულებში, ისე რომ არასოდეს დაგვავიწყდეს ისინი. ერთი სიცოცხლე! მხოლოდ ერთი სიცოცხლე! თვალისმომჭრელად ბრწყინვალეა ისინი!

და ჩვენ უნდა დავფიქრდეთ ამ ერთად-ერთი ცხოვრების ფასზე! რამდენად ღირებულია ჩემთვის ჩემი სიცოცხლე? რას გავცემდი მის შესაცვლელად? აშკარაა რომ არცერთ ჩვენგანს არ შეუძლია ფასის დადება მასზე, რადგან ის უსაზღვ ძვირფასია ჩვენთვის.

ჩვენ უნდა დავფიქრდეთ აგრეთვე ცხოვრებისეულ ფასეულობებზე! ყოველი ბიჭი რომელიც დაიბადება, შეიძლება გახდეს იოანე ან იუდა, პავლე ან პილატე! ისინი არიან პოტენციური კანდიდატები სიკეთის ან ბოროტების, ნაყოფიერების ან უნაყოფობის, ბედნიერების ან ტანჯვის.

როდესაც ჩვენ ღრმად ვფიქრობთ ამ საკითხებზე, ვხვდებით რომ ცხოვრება წმინდა და ძვირფასია, რომელიც არ შეიძლება უნაყოფოდ დაიხარჯოს, არამედ გამოყენებული უნდა იქნას საუკეთესო მაზნებისთვის.

"ეს სახუმარო რამ არ არის; ცხოვრება მოკლეა
და ცოდვა აქაა. ჩვენი ცხოვრება ფოთოლთა ცვენაა,
ცრემლთა დენა.
იმდენი დრო არა გვაქვს რომ ის უაზროდ ვფლანგოთ;
ყველაფერი სამართლიანი უნდა იყოს ჩვენს სამყაროში."

ბევრი კი არა, მხოლოდ ერთი ცხოვრება გვაქვს ჩვენ –
ერთი, მხოლოდ ერთი; როგორი წმინდა უნდა იყოს ეს
ცხოვრება – ეს მოკლე მანძილი!
დღიდან დღემდე აღვსილი კურთხეული შრომით,
საათიდან საათამდე მოქონდეს ახალი ნაყოფი.

–ჰორაციუს ბონარი "ბევრი სიცოცხლე არა!"
"ერთი, მხოლოდ ერთი!" "მოკლე მანძილი!"

მახსენსება ერთი ილუსტრაცია რომელსაც ხშირად იყენებს კ.ე. ტათემი იმისათვის რომ წარმოგვიდგინოს ამ ერთი ცხოვრების მნიშვნელობა. პატარა გოგონას, რომელიც საყიდლებზე იყო თავის დედასთან ერთად, უფლება მისცეს აერჩია ერთი პენის ღირებულების ტკბილეული. ის იდგა ვიტრინის წინ და შეუპოვრად აკვირდებოდა ტკბილეულს რომელიც შუშის ლარნაკებზე ელაგა.

პირველად მან ყურადღება შეაჩერა ერთ-ერთი თეფშის შემადგენლობაზე და თქვა, "მე ეს მინდა". როგორც კი გამყიდველმა დააპირა მოთხოვნილი ტკბილეულის მიწოდება, გოგონამ ყურადღება სხვაზე გადაიტანა და მორიდებულად თქვა: "არა, ახლა ეს მინდა". რამოდენიმე ასეთი აზრის ცვალებადობის შემდეგ, გაღიზიანებულმა დედამ უსაყვედურა შვილს: „ძვირფასო, სწრწფად მიიღე გადაწყვეტილება". ამაზე პატარა გოგონამ უპასუხა მომხიბვლელი ლოგიკით," კი დედა მაგრამ, მე ხომ მხოლოდ ერთი პენის დახარჯვის უფლება მაქვს".

"მხოლოდ ერთი პენი!" "მხოლოდ ერთი სიცოცხლე!" გამოიყენე ის ბრძნულად.

ჩვენ ამას გამუდმებით უნდა ვიხსენებდეთ. ბრიტანეთის მეფე ჯორჯ მეხუთეს ჰქონდა დევიზი, რომელსაც განსაკუთრებული შემთხვევების დროს იყენებდა. დაწერილია ამერიკელი კვაკერის, შტეფან გრელეტის მიერ:

მე ამ ცხოვრებას გავივლი, მაგრამ მხოლოდ ერთხელ. და კარგი საქმე, რომელიც მე შემიძლია გავაკეთო და ყოველი სიკეთე რომელიც შემიძლია ვუჩვენო ადამიანს, გამაკეთებინეთ ახლა. ნუ გადამადებინებთ მას და ნუ უგულებელყოფთ, რადგან მე ამ გზას მხოლოდ ერთხელ გავივლი.

და ევის ბ. ქრისტიარსენმა წარმოგვიჩინა თავისი აზრი ლექსში სიცოცხლის ხანმოკლეობაზე ლექსებში:

ერთი სიცოცხლე ძღვნად, იესო ჩემო უფალო და მეფე, მხოლოდ ერთი ენა, რათა გადიდოს შენ, და შენს მოწყალებაზე იგალობოს; მხოლოდ ერთი გულის ერთგულება მხსნელო, ოჰ, დაე ის მიძღვნილი იყოს შენი შეუდარებელი მადლისთვის.

მხოლოდ ეს დროა ჩემი, უფალო, დაე ის შენთვის იყოს გამოსადეგი;

დაე ყრველმა განვლილმა წუთმა მომიტანოს მარადისობა; სულები იღუპება, იღუპება ცოდვასა და სირცხვილში; დამეხმარე რათა ვახარო მათ გოლგოთას გამოსყიდვის შესახებ შენი წმინდა სახელით.

ერთი სიცოცხლე ძღვნად, წაიღე ის ძვირფასო უ ფალო, გემუდარები;

შენ ვინც ყველაფერი დათმე ჩემთვის, წაიღე ჩემი ცხოვრება და გამოიყენე ის შენთვის, ყოველი წუთი შენთვის, ჩემო მხსნელო.

მოდით ყველამ თვალი გავუსწოროთ ამ დიდ ჭეშმარიტებას, მხოლოდ ერთი სიცოცხლე, და გულწრფელი პასუხი გავცეთ მთავრ კითხვას: არის კი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების წესი და ფასეულობები შესაფერისი ამ ჭეშმარიტებისა?

ძალიან მოკლედ

თუ საღი გონებით განვიხილავთ რამდენად შოკისმომგვრელი ფასი ადევს ცხოვრებას, მაშინ რამდენად დასაფიქრებელია მისი ხანმოკლეობა? (ის ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს ერთი ხანმოკლე სიცოცხლე,) ჩვენთვის, სიცოცხლის ხანგრძლიობისა და მიმდინარეობის ამ პირობებში, ძნელი წარმოსადგენია ის, თუ როგორი იქნებოდა ჩვენი შეხედულება სიცოცხლეზე, მისი ხანგრძლიობა 500, 1000 ან მეტი წელი რომ იყოს. არსებულ პირობებში კი ჭეშმარიტება ის არის, რომ სიცოცხლე ხანმოკლეა და დრო ძალიან სწრაფად მიდის.

როგორ ფიქრობ, რამდენი წელი იცოცხლებ? როგორც წმიდა წერილი გვასწავლის, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 70-80 წელია (ფს.89:10) ერთი წუთით წარმოიდგინე, სულ ამდენი უნდა იცოცხლო! ამ ასაკს ჯერ შენი ახლანდელი ასაკი გამოაკელი, მიღებული ციფრი გიჩვენებს წლების იმ რაოდენობას რომელიც დარჩენილი გაქვს. გარდა ამისა შენ უნდა გაითვალისწინო დრო, რომელსაც ძილში, საერო საქმიანობაში, აუცილებელი მოვალეობების შესრულებაში, ავადმყოფობასა და უუნარობაში გაატარებ, დაფიქრდი, რამდენი დროდა დაგრჩა ქრისტესთვის? პასუხი, "არც ისე ბევრი!"

წმიდა წერილი ბევრ ილუსტრაციას გვაძლევს დროის დინების შესახებ:.

მოსე დროს ძილს ადარებს.
დავითი მასზე როგორც ჩრდილზე ლაპარაკობს.
იობი ამსგავსებს მას ფიქრების დინებას.
იოანე ფიქრობს მასზე როგორც ნისლზე.
პეტრე ადარებს მას ბალახს რომელიც ჭკნება.

დროის დინება სწრაფი და ულმობელია. მასთან ერთად კი მიდიან ჩვენი უნიკალური და განუმეორებელი შესაძლებლობები.

კუბო, კატაფალკი, სასაფლაოს მღვდელი, ეს ყველაფერი ჩვენი მიწიერი ცხოვრების დასასრულია. ყოველი დღე ჩვენ გვახსენებს რომ "საბავშვო საწოლი და კუბო ერთი და იგივე მასალისაგან მზადდება".

ქრისტიანის პერსპექტივა არის არა სიკვდილი, არამედ უფალთან დაბრუნება, მაშინ მარადიული ცხოვრების არგუმენტაცია უფრო ძლიერდება. მაშინ როდესაც ზოგიერთი ჩვენგანი ბუნებრივად მოელის რომ აღსასრულამდე აოწლეულები დარჩა, არცერთ ჩვენგანს არა აქვს მიზეზი იმისა, რომ ეძებოს განმარტოებული საათი შეძახილამდე, ხმამდე, რომელიც მოგვცემს ნიშანს იმისა რომ მაცხოვარი მოდის. პოლიტიკური ვითარებები შერწყმული წინასწარმეტყველურ სიტყვასთან მუქარით გვამცნობენ უფლის გამოჩენას.

რას ნიშნავს ყველაფერი ეს? უბრალოდ იმას- რომ ვინც ფიქრობს მთელი თავისი ცხოვრება მიუძღვნას ღმერთს არა აქვს დასაკარგი დრო. ის ყოველ წუთს ისე უნდა განიხილავდეს როგორც სიწმინდეს. მან ყოველ საათს განუზომელი ფასი უნდა დაადოს. ის ყოველ დღე უნდა ელოდებოდეს უფლის დღეს.

ყოველ დილას მონა ქალი ეუბნებოდა ფილლიპე მაკედონელს, "ფილლიპე გახსოვდეს რომ შენ უნდა მოკვდე!" ის ყოველ დღე ცხოვრობდა ამ გარდაუვალი ფაქტის წინაშე.

ყოველ დილას სული წმინდა გვახსენებს ჩვენ ბიბლიიდან, რომ ჩვენ "თიხისგან ვართ შექმნილნი და ერთი ამოსუნთქვისათვის დავიბადეთ".ჩვენ, ჩვენი ცხოვრება მარადიულობის შუქქვეშ უნდა გავატაროთ.

დამეხმარე გავიგო ამ საათების ფასი,
დამეხმარე დავინახო ამ წუთისოფლის უაზრობა;
დამეხმარე ვირწმუნო ქრისტე, რომელმაც განაქარვა ჩემი დარდები,
და ეს ყველაფერი მოგიძღვნა შენ.
მთელი ჩემი ცხოვრება იყავი განდიდებული, უფალო იესო,

ყოველ ჩემს გზაზე თვალყური მადევნე;
სისუსტის დროსაც კი გამომიყენე, უფალო იესო,
შენთვის უფალო ვიცხოვრებ ან მოვკვდები.
რა გეგმები გაქვს დღეისთვის- ხვალისთვის – ან მომდევნო დღეებისთვის?
და რა იქნება შემდეგ?

მარადისობა

თუკი დროის სიმცირე შემზარავი რეალობაა, მაშინ როგორ უნდა გვეშინოდეს დაუსრულებელი მარადისობის. ენაში ყველაზე რთული სწორედ ამ სიტყვის სინონომის პოვნაა მ ა რ ა დ ი ს ო ბ ა. რომ შევეცადოთ შევიგრძნოთ მისი დროის დინება, მოდით უბრალოდ დავფიქრდეთ დროზე რომელიც იყო სამყაროს შექმნამდე, შემდეგ კიდევ უფრო ადრინდელ დროზე,სანამ ანგელოზები შეიქმნებოდნენ, იმ დროზე როდესაც არავინ და არაფერი იყო გარდა ღმერთისა. დავბრუნდეთ უფრო 'უკან და უკან დაუწყებელი დასაწყისისკენ. უკან, უკან 'უკან. უფალს არასოდეს დაუწყია არსებობა.

ახლა თქვენი გონება მიმართეთ მომავლისკენ –იმ დროისკენ როდესაც ეს სამყარო განადგურდება, როდესაც ცოდვა გაქრება, როდესაც ჟამი აღსრულდება. წინ, წინ, წინ. სულ, სულ, სულ. არა დასასრული, არა დასასრული, არა დასასრული.

შემდეგ, როდესაც თქვენი გონება დაიძაბება საკმარისად, გახსოვდეთ რომ თქვენ მარადიულად უნდა იცოცხლოთ. მუდამ და მუდამ! დაუსრულებელი სიცოცხლე!

მარადისობა!

ადამიანი ყოველთვის ცდილობდა მისი აზრის დაჭერას! ჰენდრიკ ვან ლუნიმ მაგალითად, მოგვცა ასეთი ილუსტრაცია:

მაღლა აღმოსავლეთით მიწაზე რომელაც ქვია სვითჯოდი, დგას ქვა. ის ასობით მილის სიმაღლის არის და ასობით მილის სიგანის. ყოველ ათასწლეულში ერთხელ ერთი ჩიტი მოფრინდება ხოლმა ამ ქვასთან რათა, გაილესოს თავისი ნისკარტი. როდესაც ეს ქვა გაიცვდება, მარადისობის ერთი დღეც მაშინ ჩაივლის.

როულანდ დიქსონ ედვარდი ცდილობს ეს ასე გამოხატოს:

გემიდან, რომელიც შორს ოკეანეშია, გემზე, ჩვენ ვიღებთ

სათითურს, ვამაგრებთ მასზე ძაფს, ვაგდებთ მას გემბანიდან, და ისევ ამოგვაქვს სათითური, რომელიც სავსეა მარილიანი წყლით. ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ დრო მარადისიბის ოკეანიდან.

მარადისობა არის ოკეანე ნაპირების გარეშე.

ეს არის დრო დასასრულის გარეშე.

ეს არის აწმყო რომელიც სამუდამოდ გრძელდება.

ეს არის უფლის ცხოვრების დრო.

თითქოს სიტყვებიც კი კვნესიან ამ აზრის სიმძიმის ქვეშ.

ვერც ერთი ადამიანი ვერ მოსთხოვს თავის თავს იყოს რაციონალური როდესაც ფიქრობს იმ დამთრგუნველ ფაქტზე, რომ სიცოცხლე არის როგორც იოტისოდენა ქვიშა მარადიულობის ულიმიტო ნაპირებზე. მთელი მისი ცხოვრება უნდა ყალიბდებოდეს ამ ჭეშმარიტებაში. ის უნდა ცხოვრობდეს მარადიული ფასეულობებით.

ცნობილია, რომ მილანის კათედრალში იმყოფება სამი კარი. პირველზე გამოსახულია გვირგვინი დაწნული ვარდებისგან ასეთი წარწერით,"ყოველი სიამოვნება წამიერია", მესამე კარზე გამოსახულია ჯვარი და სიტყვები,"ყოველი მწუხარება წამიერია", ხოლო ცენტრალურ კარზე არის ასეთი შეხსენება, " მნიშვნელოვანია მხოლოდ ის რაც მარადიულია".

როგორც ქრისტიანები, ჩვენ უნდა დავდგეთ მარადიულობი რეალურობის ფაქტის ქვეშ. ჩვენ უნდა მიუახლოვდეთ ამ რეალობის აღქმას. შემდეგ როდესაც სვლას გავაგრძელებთ, უცნაური აზრი დაეუფლება ჩვენს გულს, რომ ჩვენი გეგმები ბოლომდე ვერ აღსრულდება. ჩვენ ვიცხოვრებთ მომავლის და არა აწმყოსათვის!

ოქროს ხანა

ახალგაზრდა ქრისტიანებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ახალგაზრდობა ოქროს ხანაა. ეს არის პერიოდი, როდესაც ადამიანის შესაძლებლობაბი უსაზღვროა, მისი მსოფლმხედველობა ფართეა, აღსავსეა ენთუზიაზმით.

ის, რომ ღმერთს განსაკეთრებული სიყვარული აკავშირებს ახალგაზრდობასთან, ეს ნათლად ჩანს იერემიას 2:2–ში."მე მახსოვს შენი კეთილგანწყობილება ჩემდამი შენს სიყმაწვილეში, შენი ჩემდამი სიყვარული, როდესაც პატარძალი იყავი; უკან რომ მომდევდი 'უდაბნოში, დაუთესავ ქვეყანაში."

მინდა რაღაც გითხრათ ახალგაზრდობის შესახებ! წმინდა ბუნებრივი თვალთახედვით, ჩვენ გვირჩევნია ანცი კნუტი უკვე ხანში შესულ კატას. ბარტყი საკენკთან იპყრობს უფრო მეტ ყურადღებას, ვიდრე ბებერი ხარი. არა აქვს მნიშვნელობა სად მოგზაურობ, შენი გული ბავშვებისკენ ისწრაფვის და გულის სიღრმეში გსურს, რომ ისინი არასოდეს შეიცვალონ.

ასევე, სულიერ სამყაროში, ღმერთს აქვს განსაკუთრებული დამოკიდებულება გულწრფელ ახალგაზრდობასთან, მათ პირველ სიყვარულთან. მას უყვარს ძალა, შრომისმოყვარეობა და სიმამაცე ახალგაზრდებში. მას ახსოვს მათი ვნებიანი მოწაფეობა, მათი ცხოვრების მიძღვნა მისთვის. "მე მახსოვს შენი კეთილგანწყობილება ჩემდამი შენს სიყმაწვილეში, შენი ჩემდამი სიყვარული."

ახალგაზრდობა მიღწევების ხანაა. "ვირგილიუსი იდგა ლათინური პოეტების სათავეში, ლუთერმა მოახდინა უდიდესი რეფორმაცია, ნიუტონი მკვლევართა პირველ ხაზზე აღმოჩნდა, მათ ამას 30 წლამდე მიაღწიეს. ოცდარვა წლამდე, ჰეროდოტემ აღწერა თავისი 9 წიგნი ოლიმპიურ თამაშებზე, ჰანიბალმა კი ესპანეთი კათედრალის არმიას დაუმორჩილა. ოცდახუთი წლის ასაკში დემოსტანე საბერძნეთის ოქროს ხმად იწოდებოდა, ციცერონი კი რომის ვერცხლის ენად! და-

პაელი კი, იგივე ასაკში გამოიძახა იულიუს მეორემ, იმისათვის რომ, მისთვის ნახატები შეექმნა, გალილეო ღამის ბრწყინვალებაში აკვირდებოდა ჯერაც აღმოუჩენელ ვარსკვლავებს! იგივე ასაკში შექსპირი დრამატურგ მწერალთა შორის პირველი გახდა! 22 წლის ასაკში, ალექსანდრემ გადაატრიალა პერსიის იმპერია, ნაპოლეონი და ვაშინგტონი კი საუკეთესო გენერლები გახდნენ. პლატონი ოცი წლისა, უკვე სოკრატეს ახლო მეგობარი და თანასწორი იყო, და მანვე უწოდა არისტოტელეს 17 წლის ასაკში"სკოლის გონება". პასკალ 19 წლისა, უდიდესი მათემატიკოსი იყო, ბეკონმა იგივე ასაკში ინდუქტიურ ფილოსოფიას დაუდო სათავე. 25 წლის ასაკში ჯონათან ედვარდსი და ჯორჯ უაითფილდი აღიარეს პრინცებად სწავლებაში, ხოლო ქრისტე 30 წლისა ავრცელებდა თავის სახარებას რომელმაც რევოლუცია მოახდინა მსოფლიოში."

სიბერე ეს ის პერიოდია, როდესაც ჩვენი საუკეთესო ძალები ამოიხარჯა. ხელები კანკალს იწყებს, ფეხები თავისით იხრება სხეულის წონის ქვეშ. მხოლოდ რამოდენიმე კბილი გვრჩება, და თვალებიც ორფოკუსიანი მინიდან იყურება. ყურები ელექტრონულ დახმარებას მოითხოვს, მეტყველება კი სუსტი ხდება. სიბერეს მოყვება უძილობა, მადის დაკარგვა და საერთო სისუსტე.

როგორი შესაბამისია აქ მოძღვარის სიტყვები:

"გახსოვდეს შენი გამჩენი სიჭაბუკის დღეებში, სანამ არ მოსულა ავი დღეები და არ დამდგარა წლები, როცა იტყვი: "არა მწადიან ისინი".

ახალგაზრდობა ეს ის პერიოდოა როდესაც უნდა გახსოვდეს უფალი, არა მხოლოდ ხსნის თვალსაზრისით, არამედ მისდამი სიყვარულით მსახურების გამო.

კარგი იქნებოდა, რომ ახალგაზრდები აცნობიერებდნენ იმას, რომ ის რისი გაკეთებაც მათ ახლა შეუძლიათ, მერე ვეღარ გააკეთებენ. ახალგაზრდების დამოწმებას განსაკუთრებული ძალა აქვს მათი თაობის ადამიამიანებში.

ხალგაზრდებს უყვართ რისკი, და იღებენ გამოწვევებს ქრისტიანულ საქმეში ჩასაბმელად, ასაკთან ერთად კი კონფლიქტის მიმართ შიში მოდის.

ქრისტიანთა უმეტესობა გეგმავს, რომ მიუძღვნის ცხოვრებას ქრისტეს მომავალში– მას შემდეგ რაც იშოვის ფულს– გახდება პანსიონერი – ანუ სიბერეში.

ღმერთს არ სჭირდება დროის ნარჩენი ნაწილი. მას სჭირდება საუკეთესო, სრული. ძველ აღთქმაში, მან მოითხოვა საუკეთესო მსხვერპლები შესაწირად. მისი მოთხოვნები არ შეცვლილა! შეგვიძლია ჩვენ შევთავაზოთ მას ის რაც უკვე დანაოჭებულია, დაბერებულია და გაცვეთილია? რაოდენ, საჭიროა მივცეთ მას საუკეთესო, და ეს კი ჩვენში არის ჩვენი ახალგაზრდობა!

ქრისტეს საუკეთესო სჭირდება. მან საუკეთესო ასაკში შეაგროვა თავისი სამწყსო, საუკეთესო ხორბალი; და ის დღესაც ჩვენგან საუკეთესოს ითხოვს, რომ მივუძღვნათ ჩვენი იმედები ჩვენი ტალანტები მას. ის მცირე შრომასაც კი არ დაგვიეიწყებს, ტავმდაბალ სიყვარულს, ის უბრალოდ გვთხოვს, რომ ჩვენი დანაზოგიდან საუკეთესო მივუძღვნათ მას.

ქრისტე საუკეთესოს იძლევა. ის ღებულობს გულებს, რომლებსაც ჩვენ მას ვუძღვნით, და ავსებს მათ ბრწყინვალეებით, სიხარულით და მშვიდობით. მის სამსახურში ჩვენ ვძლიერდებით და ჩვენი მიღწევებიც ფართოვდება. საუკეთესო ძღვენი დედამიწაზეც და სამოთხეშიც ინახება ქრისტეში. ქრისტეში ვღებულობთ ჩვენ ყოველივეს.

ჩვენი საუკეთესო მეტისმეტია? ოჰ, მეგობრებო, მოდით გავიხსენოთ როგორ მისცა უფალმა თავისი სული ჩვენთვის, და თავის საუკეთესო გაფურჩქვნის ხანაში, აქ დედამიწაზე, დათმო თავისი წმინდა ცხოვრება ჯვარზე. უფალთა უფალმა, რომლის მიერაც შეიქმნა სამყარო, მწარე ტკივილისა და ტანჯვის ფასად გვიბოძა ჩვენ საუკეთესო რაც გააჩნდა.

1956 წლის 8 იანვარს პიტერ ფლემინგმა გადაწყვიტა მიეძღვნა უფლისათვის საუკეთესო იქედან რაც გააჩნდა, და 27 წლის

ასაკში ის ეწამა ქრისტესთვის. მისი სულის წმინდა შეუპოვრობა მდგომარეობდა იმაში, რომ მიეძღვნა თავისი საუკეთესო ახალგაზრდული ძალა, ტალანტი, სიყვარული და სიცოცხლე ქრისტესთვის. მისი მორწმუნეობრივი გადაწყვეტილება კარგად არის გამოხატული ერთ–ერთ მის საყვარელ ლექსში:

უფალო, მთელი ჩემი ძალით

უფალო მთელი ჩემი ძალით,
შენთვის ვიქნები ძლიერი;
სანამ შენს მიმართ აღტაცება
აფრიალებს ჩემს სიმღერას
მე არ მიუძღვნი ჩემს გულს წუთისოფელს,
და ამით არ დავთმობ შენს სიყვარულს;
მე არ დავუძლურდები,
და ამით არ დავამტკიცებ შენს სიყვარულს.
მე არ შევუდგები გულმოდგინედ
წუთისოფლის საქმეების კეთებას:
და არ მივადგები სამოთხის კარებს
დაღლილი და დაქანცული.
შენგან შორს არის ჩემი სისუსტეები,
ჩემი საცოდაობა! ო, არა
შენთვის ანთია ცეცხლი ჩემს გულში
და ის შენთვის დაიფერფლება.
ო, ამირჩიე მე ჩემს ოქროს ხანაში,
ჩემი სიხარული გაინაწილე!
რადგან შენია ჩემი აყვავების ხანა,
შენში აღსრულდება ჩემი გული.

აღარაფერი ეშველება განვლილ ახალგაზრდობას. ამიტომ, ყოველმა ჩვენგანმა უნდა კითხოს თავის თავს დღეს, "როგორი იქნება ჩემი ახალგაზრდობის ბიოგრაფია? იქნება ის უბრალოდ მოსაწყენი ჩანაწერი, მიმსგავსებული უფლის საქმის კეთებას, თუ ვნებააშლილი ასპარეზი სრულიად მიძღვნილი ქრისტე იესოსთვის?"

გახსოვდეს, შენი ბიოგრაფია იწერება დღეს!

განათლება რომელიც აუცილებელია მარადისობისთვის

დრო, როდესაც გონების პოტენციური შესაძლებლობები მაღალია, აუცილებელია ახალგაზრდა ქრისტიანებმა ნაყოფიერად გამოიყენონ. განათლება და სიბრძნე უწინამძღვრებთ მათ და ისინი გაიგებენ განათლების ჭეშმარიტ ფასს.

უპირველეს ყოვლისა, როდესაც ღვთის სასუფეველში აღმოვჩნდებით, ჩვენ არ გვექნება სრულყოფილი ცოდნა. ყოვლისმცოდნე მხოლოდ ღმერთია. ყოვლისმცოდნეობა მხოლოდ მისი ატრიბუტია. ჩვენ არასოდეს გავხდებით ღმერთები; ჩვენთვის სწავლის პროცესი არ წყდება. ერთხელაც ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ცოდნა ახდენს გავლენას ჩვენს მზადებაზე მარადისობისათვის.

წმინდა წერილი გვეუბნება, რომ ჩვენ გავაგრძელებთ სწავლას სამოთხეში. მაგალითად, ეფესელთა 2:7 ში პავლე გვეუბნება, რომ მომდევნო საუკუნეებში უფალი გვიჩვენებს თავისი მადლის უზარმაზარ სამდიდერეებს, თავიი მოწყალებით ჩვენს მიმართ, ქრისტე იესოში. თუ ღმერთი მარადიულად გვიხსნის ჩვენ ახალ ჭეშმარიტებებს, მაშინ ჩვენ გამუდმებით სწავლის პროცესში ვიქნებით. ასეც უნდა იყოს! ეს თემა ამოუწურავია. მიუხედავად იმისა, რომ სატანამ მოახერხა ეჩვენებინა იესოსთვის და შეეთავაზებინა მისთვის მთელი ამქვეყნიური სიმდიდრეები, ღმერთი ყოველთვის გადმოგვცემს ენით აუდწერელ სიმდიდრეებს ქრისტე იესოსი, და მისთვის კურსდამთავრებული სტუდენტები არ არსებობენ. ეს იქნება უწყვეტი გამოცდილება უფლის სიყვარულისა, და ჩვენ ვისხდებით მის ფერხთით, როგორც მოხიბლული მოწაფეები, რომლებიც განუწყვეტლივ სწავლობენ მეტს და მეტს.

არის რამდენიმე ადგილი სახარებაში, რომელიც ამას ამტკიცებს და ასევე ადასტურებს იმას, რომ ჩვენ ყველაფერი

გვეცოდინება სამოთხეში. მაგალითად, იოანე ამბობს თავის პირველ წერილში, რომ ჩვენ ქრისტეს მსგავსნი ვიქნებით. ის არ გულისხმობს მენტალურ ან ფიზიკურ მსგავსებას, არამედ მორალურს.

ჩვენ ვიქნებით მისი მსგავსნი, ანუ სამუდამოდ განთავისუფლებულნი ცოდვისაგან.

პავლე მიუთითებს 1 კორინთელთა 13:12 ში, რომ იქ ჩვენ სხვაგვარად შევიცნობთ ყველაფერს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ სრულ ცოდნას მივიღებ ყველაფერზე, რადგან ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ქმნილებები, როლებიც ჩვენს შემოქმედზე უფრო დაბლა დგანან და გააჩნიათ მხოლოდ განსაზღვრული ცოდნა.

ჩვენ შეიძლება დავსვათ შეკითხვა, "რა ცოდნა მექნება როდესაც სამოთხეში აღმოვჩნდები?" შეიძლება ვივარაუდოთ ასეთი პასუხი, "ცოდნა რომელიც გაგაჩნდა როდესაც დატოვე დედამიწა." რა თქმა უნდა დროთა განმავლობაში ეს ცოდნა გაღრმავდება, მაგრამ ჩვენი ცოდნის ფუნდამენტი იქნება ის რითიც ჩვენ დავტოვეთ ეს დადამიწა.

თუ ეს ჭეშმარიტად ასეა, განა ეს ძალზე მნიშვნელოვანი არ არის? შენი ცხოვრებისეული ამბიცია შეიძლება იყოს, რომ უფრო მეტი გაიგო მეცნიერების სხვადასხვა დარგზე, ლიტერატურაზე ან პოლოტიკაზე. შეიძლება მიაღწიო კიდეც ამ მიზანს. მაგრამ, რაში გამოგადგება ეს სამოთხეში? ცხოვრების ეს უდიდესი მიღწევები ისეთი უმნიშვნელო ჩანს მარადისობის შუქქვეშ.

მეორეს მხრივ, ღვთის სიტყვის შეძენას უდიდესი ფასი და მნიშვნელობა გააჩნია. რასაც ჩვენ შევისწავლით წმინდა წერილში, აქ დედემიწაზე, ეს იქნება ინვესტიცია მარადისობისთვის, რადგან ბიბლია სამოთხეშიც გვექნება. იესომ თქვა, "ცა და დედამიწა გარდავლენ, მაგრამ ჩემი სიტყვა არა."

მეფსალმუნე წერს, "უფალო, შენი სიტყვა სამუდამოდ მკვიდრობს სასუფეველში." ყოველი მუხლი წმინდა წერილისა, ყოველი თავი რომელსაც ჩვენ შევისწავლით, ყველაფე-

რი რასაც ჩვენ ვსწავლობთ ბიბლიიდან სრულყოფილ შედეგს მოგვცემს იმ საუკუნო ცხოვრებაში რომელსაც ველით.

ის აზრი, რომ ყველანი ერთნაირები ვიქნებით სამოთხეში რათქმაუნდა არ არის სახარებისეული. ღმერთი გვასწავლის, რომ იქნება განსხვავებები ჯილდოებში, ისევე როგორც იქნება განსხვავება სასჯელში.

ასევე ყველანი ბედნიერები ვიქნებით სამოთხეში, მაგრამ ამას გარდა ზოგს ექნება უფრო დიდი შესაძლებლობა რომ ამ ბედნიერებით დატკბეს, ვიდრე სხვებს. საბოლოოდ ჩვენი დაფასება ღმერთის მიერ იქნება პროპორციული იმისა, როგორ ვიცნობდით მას აქ, მისი სიტყვის მეშვეობით. ყველას თასი სავსე იქნება, მაგრამ ზოგის თასი უფრო დიდი იქნება ვიდრე სხვისი.

ასევე აშკარაა ის ფაქტიც, რომ ყოველი ჩვენგანისთვის აუცილებელია დააგროვოს უდავო რაოდენობა "ამქვეყნიური" ან "საერო" ცოდნისა, რათა ვიპოვოთ შესაფერისი სამსახური და ვაწარმოოთ ჩვეულებრივი ამქვეყნიური ცხოვრება. ამ მიზეზით, ზოგი კოლეჯში აბარებს, ზოგი უფრო გაუმჯობესებული ფორმით იღებს განათლებას. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი სახის განათლება არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ეს არის უბრალოდ გადასაგორებელი ქვა, ადამიანის ფიზიკური ყოფისთვის აუცილებელი მარაგის მოპოვება. მაშინ როცა ჩვენ გვაქვს უზენაესი მიზანი–ეს ქრისტეს შეცნობაა და მისი გაცნობა, სხვებისთვის. მიუტევებელია მთავარ მიზნად აქციო წუთისოფლისეული განათლების მიღება და უგულებელყო ღვთის სიტყვის შესწავლა.

მხოლოდ რამოდენიმე ფაქტის აღიარებას შეუძლია წარუშლელი ეფექტი მოახდინოს ადამიანის ცხოვრებისეულ მასწრაფებებზე. ჩვენ ყველაფერი არ გვეცოდინება მაგრამ, რასაც ვსწავლობთ აქ.

არის ის, რაც თან მიგვაქვს სამოთხეში. ჩვენ ახლა უნდა ვემზადოთ იმ ასპარეზისთვის. უნდა მივისწრაფოდეთ იმის შესაცნობად, რაც იქ გამოგვადგება. კოლეჯის დიპლომიც

შესაფერისად უნდა გამოვიყენოთ, როგორც იარაღი, რითაც უკეთესად ვამსახურებით უფალს აქ დედამიწაზე. უნდა გავაკეთოთ სწორი აქცენტი საღმრთო წერილზე, რათა უკეთ გავიცნოთ მისი ავტორი და ხსნის ღვთიური გეგმა.

დიახ, იქნება პროგრესი სამოთხეში! ჩვენ გავაგრძელებთ სწავლას სამოთხეში! და ჩვენი ჯილდოც იმაზე იქნება დამოკიდებული როგორი დამოკიდებულება გვაქვს ბიბლიასთან ახლა!

შენ ირჩევ შენს მომავალს

ცხოვრებაში ადამიანი იმ პროფესიას ღებულობს, რომელზეც ოცნებობდა. თუ შენ შენი მიზნისაკენ ინტენსიურად და ძლიერად ისწრაფვი, მიაღწევ მას. მომავალი აწმყოში ზრუნვას საჭიროებს. შენი მომავლის გასაღები თავადვე გიპყრია ხელთ.

ალბად გახსოვთ, რომ ერთ ღამეს უფალი გამოეცხადა სოლომონს და ჰკითხა, რა გინდა ყველაზე მეტად? მან უფალს საბრძნე სთხოვა და მანაც ამ ძღვენთან ერთად სიმდიდრე, უანმრთელობა, დაფასება, გამარჯვება და ხანგრძლივი სიცოცხლე უბოძა.

იგივე კითხვით მიმართავს უფალი ყოველ ჩვენთაგანს, "მთხოვე რისი მოცემა შემიძლია შენთვის." და რისთვისაც ვითხოვთ რაიმეს, იმის მიხედვით ვღებულობთ.

ცნობილია, რომ ლორდ როზბერის ჰქონდა სამი ძლიერი სურვილი:

1) მას უნდოდა დაემარცხებინა დერბი„

2) მას უნდოდა მილიონერის ქალიშვილი შეერთო.

3) მას უნდოდა გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი.

ისტორია გადმოგვცემს, რომ მან სამივე სურვილი განახორციელა.

რამოდენიმე წლის წინ, ერთი ახალგაზრდა კაცი მუხლმოყრილი იდგა თავის საწოლთან და იმეორებდა სიტვებს, რომლებიც წერია 144 ფსალმუნის 19 მუხლში, მან უთხრა ‘ეფალს, რომ გ‘ელწრფელად სურს შემდეგი:

1) შეძლოს კარგად დაიმახსოვროს ღვთის სიტყვა.

2) შეძლიოს დაწეროს ქრისტიანული ბროშურები და მათი დიდი რაოდენობა გაავრცელოს.

3) შეძლოს მიაწოდოს ეს ბროშურები ქრისტეს მუშაკებს უფასოდ.

4) შეძლოს ასწავლოს სახარება და გაავრცელოს უფლის სიტყვა.

5) შეძლო სასულიერო თხზულებების წერა და მორწმუნეებისათვის დარიგება.

ყველა, ვინც იცნობს ტომ ოლსონს, იცის მისი არაჩვეულებრივი ნიჭის შესახებ. ის ძალიან კარგად იმახსოვრებს წმინდა წერილს. მისი ქადაგებები და ბიბლიის სწავლებები უფალმა მრავალთა კურთხევისათვის გამოიყენა, მისი სტატიები იკითხება მრავალი ადამიანის მიერ, მისი ბროშურებიც კარგად ვრცელდება. თუმცა, ეს შეიძლება ყველა ახალგაზრდა ადამიანმა გააკეთოს.

ამას მივყავართ დასკვნამდე! იყავი ფრთხილი არჩევანის დროს. შენს არჩევანზე ბევრი რამაა დამოკიდებული.

როდესაც გამდნარი ფოლადი გადმოდის გახურებული ღუმელიდან, ის შეიძლება ჩაისხას ნებისმიერ ყალიბში, მალე ცივდება, მყარდება, და იძენს ფორმა უროს დაურტყმელად. თუ ახალგაზრდა ქალი ან მამაკაცი გამოიყენებს თავის შესაძლებლობებს ახალგაზრდობაში, აუცილებლად მიიღებს შედეგს მომავალში.

ყოველი ადამიანი, რომელიც გამუდმებით ყოყმანობს გადაწყვეტილების მიღებისას, ის უბრალოდ მიყვება ცხოვრების დინებას. ასეთი ადამიანი, თავის თავს უყურებს როგორც პაიკს, რომელიც შემთხვევითობით იმართება. მათ ფატალისტებს ეძახიან. მათი არჩევანი თავისთავად გაკეთებულია. ისინი კმაყოფილდებიან იმით, რასაც ცხოვრება მათთვის გაიმეტებს.

ვფიქრობ, ახალგაზრდები ფხიზლად უნდა იყვნენ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას. მათ ყველა ოცნების განხორციელება შეუძლიათ, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია, რომ დარწმუნებულნი იყვნენ თავიანთი არჩევანის სისწორეში.

ღმერთმა დღეს რომ გკითხოთ:

„რა გინდა ცხოვრებაში?"

რას უპასუხებ?

ყურადღებით მოუსმინე! ის გეკითხება!

მისწრაფება: სიბრძნე თუ უგუნურება

რომელი მიზანია სწორი ცხოვრებაში? რა ჩაგვეთვლება გამართლებულ საქმიანობად სიკვდილიდან ხუთი წუთის შემდეგ? რომელია საუკეთესო მიზანი რომლისთვისაც ჩვენ დავთმობთ ჩვენს დროს, ნიჭს?

პირველ რიგში ვეთანხმებით თუ არა იმ აზრს, რომ "სიმდიდრის მოხვეჭა" არ არის ქრისტიანის ცხოვრების მთავარი მიზანი?

1)პირველ რიგში ეს არ არის გამართლებული უფლისგან (მათე 6:19).

2) მეორე,, მატერიალური სიმდიდრე აშკარა დაბრკოლებაა სულიერ საქმეში (მარკიზი 10:23,24).

3) სიმდიდრე მაცდუნებელია: (მარკოზი 4:19):ის თითქოს რეალურია, მაგრამ შეიძლება უეცრად გაუჩინარდეს.

4) ჩვენი მაგალითი უნდა იყოს ქრისტე. ის ღარიბი კაცი იყო (2 კორინთელთა 8:9). ის გამუდმებით ამტკიცებდა, რომ მონა თავის ბატონზე მაღლა არ უნდა იდგეს (მათე 10:24,25)

5) სიმდიდრეს სასუფეველში ვერ წაიღებ (2 კორინთელთა 4:18)

6) ძალიან ძნელია ქრისტიანისთვის იყოს მდიდარი, როდესაც ხედავს მის ირგვლივ გაბატონებულ სიღარიბეს.

რამოდენიმე წლის წინ, ასეთი სტატია გამოქვეყნდა ონტარიულ გაზეთში:

ჯონ ლივინგსტონი, ქალაქის უმდიდრესი კაცი გარდაიცვალა. მისი ქონება შეფასებული იყო 500,000 დოლარად. ამასთანავე, მისი ცხოვრებაც დაზღვეული იყო 500,000 დოლარად. ის იყო ცნობილი შოტლანდიელი მისიონერის დევიდ ლივინგსტონის ძმა.

"ახალგაზრდობაში, თავიანთ სახლში შოტლანდიაში, ამ

ორმა ყმაწვილმა მიიღო ცხოვრების უდიდესი გადაწყვეტილება. ჯონმა თქვა, "მე კანადაში წავალ და იქ მივაღწევ წარმატებას." ასეც მოიქცა! დევიდმა თავისი ცხოვრება მაცხოვარს მიუძღვნა.

მუშაობდა აფრიკაში, რათა შავკანიანებისთვის ექადაგა სახარება. თუ წუთისოფლისეული თვალსაზრისით განვსჯით, ჯონი ბრძენი კაცი იყო, ხოლო დევიდი უგუნური. ჯონმა წარმატებას მიაღწია ბიზნესში და დიდი სიმდიდრე დააგროვა, მაშინ როდესაც დევიდმა სიცოცხლე აფრიკაში დაასრულა, მუხლებზე მდგომმა, მიტოვებულ ქოხში. საბოლოო შედეგი 50 წლის შემდეგ არის ის, რომ ჯონის სახელი მასთან ერთად დაიმარხა მიწაში, ხოლო დევიდის სახელი დღესაც მოიხსენიება მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

მეორე, ძლიერი მამოძრავებელი ძალა ადამიანთა ცხოვრებაში არის პიროვნული სტატუსის დამკვიდრება. ადამიანს უნდა, რომ მოიხვეჭოს სახელი და გახდეს მნიშვნელოვანი.

ზოგი დიდებას ბიზნესში ან საქმიანობაში ეძებს. ყველაფერს თმობს თავისი მიზნისთვის. ისინი განუწყვეტლივ იბრძვიან ხორციელი წარმატებისთვის არჩეული გეზით, მაშინ როდესაც უფალი მოუხმობს მათ, "დიდს ნუ ითხოვ შენთვის". (იერემია 45:5)

ზოგს სახელის მოხვეჭა უნდა სპორტში. ისინი მკაცრი და სასტიკი რეჟიმით ვარჯიშობენ და დიდ მსხვერპლზე მიდიან რათა წარმატებას მიაღწიონ. მაგრამ, უფალს "კაცის მუხლმაგრობა არ სურს"(ფსალმუნი 146:10), ნავარჯიშები სხეულის უპირატესობა მხოლოდ ამ ქვეყანაზე გამოგვადგება, ღვთისმოსაობა კი ყველაფერში გამოსადეგია (1 ტიმოთე 4:8).

ზოგს უნდა კარგი სპეციალისტი გახდეს ფილოსოფიის, ისტორიის, ან მუსიკის დარგში. დროის ყველაზე დიდ დანაკარგად მიმაჩნია ის დრო, რომელსაც ქრისტიანები უთმობენ იმ საქმეებს, რომლებიც სამოთხეში არ გამოადგებათ.

არსებობენ ადამიანები, რომელთაც ამოძრავებთ კეთილშობილური იდეები, მაგალითად დაეხმარონ თავიანთ თანამოძ-

მეებს, ეს შეიდლება გამოიხატებოდეს მათი სოციალური ამ მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ასეთი ადამიანების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათში ნაკლებადაა ეგოიზმი. მაგრამ თუ ნამდვილად გვსურს, რომ დავეხმაროთ სხვას პრობლემის დაძლევაში, ყველაზე სწორი გზა იქნება დავეხმაროთ მას, რომ კითხვებზე პასუხი სახარებაში ეძებოს. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ადამიანებს წარუდგინოთ ქრისტე, როგორც მათი ერთადერთი დამხმარე.

წუთისოფლისეული მისწრაფებები, რომლისთვისაც ადამიანები იღწვიან, სრულიად არ ემთხვევა მისწრაფებებს, რომლებიც მარადიულობისთვისაა შესაფერისი. ისინი ფუჭია და დროის გამოცდასაც ვერ უძლებენ. ეს არის ჭეშმარიტი ხედვა ქრისტიანისა, რომელიც ორი სამყაროსთვის ცხოვრობს.

სიცოცხლე ჭეშმარიტ აზრს ვერ შეიძენს იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშს არ გაუწევთ ორი სამყაროს ცნებას, იმ ცხოვრებას რომელიც ახლა გვაქვს და რომელიც გვექნება მომავალში. განა სწორი იქნება, რომ ადამიანი მარადიულ სიცოცხლეზე მხოლოდ გაჭაღარავების შემდეგ დაფიქრდეს? ჩემი დიდი სურვილია, რომ ადამიანები ამაზე ადრეულად დაფიქრდნენ, და სანამ დროა მოინანიონ ურწმუნოება და ეგოიზმი და იცხოვრონ რწმენით სიწმიდესა და სულგრძელობაში, იფიქრონ თავიანთ სიცოცხლეზე, როგორც ორი სამყაროს კუთვნილებაზე.

ორი სამყარო, ერთი ძალიან ხანმოკლე, ხოლო მეორე დაუსრულებელი! რა საუნჯეს დავაგროვებთ აქ? ის, რასაც ღღეს ვაკეთებ, მნიშვნელოვანი იქნება ჩემთვის მარადისობაში. სანამ ამ აზრს არ გავითავისებთ, პრობლემასაც ვერ გადავჭრი.

უილიამ კელი იყო ბიბლიური სკოლის გამოჩენილი სტუდენტი, რომლის განსწავლულობამ და სულიერებამ ძლიერ იარაღად აქცია უფლის ხელში. მისტერ კელი ეხმარებოდა ერთ ნათესავს ჩარიცხულიყო სამების კოლეჯში, დუბლინში. სწორედ ამ დროს მოექცა იქაური პროფესორების ყურადღე-

ბის ქვეშ. მათ შესთავაზეს, რომ დაეწყო მუშაობა იმ კოლეჯ-ში და ამით გამოეჩინა საკუთარი შესაძლებლობები. როდე-საც მისტერ კელიმ დიდი ენთუზიაზმი არ გამოხატა ამ სა-კითხთან დაკავშირებით ისინი განცვიფრდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა გაკვირვებით ჰკითხა მას, " ნუთუ არ გსურთ რომ სახელი მოიხვეჭოთ სამყაროში?"

"რომელ სამყაროში?" იკითხა მან ოსტატურად.

დიახ, ასეა! ჩვენი ამბიციების მიუხედავად ჩნდება კითხვა, "რომელი სამყარო?"

ჩააბარებს კი, ჩვენი ამბიციები ამ გამოცდას?

ცხოვრების უდიდესი ძალდატანებები

ჩვენს მომავალზე ფიქრის დროს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ სამი აუცილებელი პრინციპი:

- ჩვენი ვალდებულებები უფლის მიმართ.
- ვალდებულებები ჩვენი ახლობლების მიმართ.
- საკუთარი ინტერესები.

თუ ცხოვრება მოკლებულია ამ სამ ვალდებულებას, ის არ შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს.

შენთვის უფალო

უფალი უპირველეს ყოვლისა! ის მხოლოდ ჩვენი შემქმნელი რომ ყოფილიყო, უფალი მაინც იმსახურებდა ჩვენს ურყევ რწმენას და დაუცხრომელ სამსახურს. მაგრამ, იმ ჭეშმარიტებას რომ უდიდესი შ მოქმედი ამასთანავე გახდა ჩვენი მხსნელი ვერსად გავექცევით.

ყოველმა ჩვენთაგანმა უნდა მიიღოს შემდეგი ჭეშმარიტებები:

1. უფალმა გამოგზავნა თავისი მხოლოდშობილი ძე, რათა ჩემს მაგივრად მომკვდარიყო.
2. უფალმა იესომ თავისი ნებით მიატოვა სამოთხის მშვენიერება და მოევლინა ამ ბინძურ და სამარცხვინო სამყაროში ჩემს გამო.
3. იმისთვის, რომ ჩემი სული გადაერჩინა, ის იტანჯა, ჯვარზე გაეკრა და მოკვდა.
4. ის, ვინც ჩემს გამო მოკვდა უბრალოდ ადამიანი კი არ იყო, არამედ სამყაროს შემოქმედიც.
5. ის ჩემთვის მოკვდა მაშინ, როდესაც მე მისი მტერი ვიყავი.

6. ის ტანჯვები, რომელიც მან გადაიტანა ჩემი ცოდვებისათვის, იმდენად მძიმე იყო, რომ ადამიანის გონება ვერასოდეს ჩაწვდება მათ.

7. მან თავისი სისხლის ფასად მიყიდა მე.

8. ის მოკვდა იმისთვის, რომ ყოფილიყო ჩემი მეფე, ჩემი უფალი, ჩემი ბატონი.

ეს არის ჭეშმარიტება ყოველი ქრისტიანისთვის. და როდესაც ამ ჭეშმარიტების ცეცხლი იღვრება ჩვენს სულებში, ჩვენ უბრალოდ გვინდა რომ ვიყვიროთ:

ყველაფრის შემდეგ რაც მან ჩემთვის გააკეთა,
ყველაფრის შემდეგ რაც მან ჩემთვის გააკეთა,
რა უფლება მაქვს, რომ არ მივცე მას საუკეთესო ჩემში?
ჩემი ცხოვრება სრულიად არ მიუძღვნა მას.
ყველაფრის შემდეგ რაც მან ჩემთვის გააკეთა.

— ბეტი დაასვანდი.

ქრისტემ მე თავისი სისხლით გამომისყიდა და ახლა მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი, მე მხოლოდ მისი საკუთრება ვარ. პავლე წერს:

"ქრისტეს სიყვარულით ვართ მოცულნი, როცა ასე ვმსჯელობთ: თუ ერთი მოკვდა ყველასთვის, ყველანი დაიხოცნენ. ქრისტე კი ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი არ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა." (2 კორინთელთა 5:14,15)

ამიერიდან არა საკუთარი თავისთვის, არამედ მისთვის! თ. სთადიმ აქედან ასეთი დასკვნა გააკეთა:

მე ვიცოდი, რომ ქრისტე მოკვდა ჩემთვის, მაგრამ არასოდეს მიფიქრია ასე, თუ ის ჩემთვის მოკვდა, მაშინ მე საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი. გამოსყიდვა ნიშნავს ისევ იყიდო, დაიბრუნო, და თუ მე მას ვეკუთვნი, მაშინ ყველაფერი ღმერთს უნდა დავუთმო, წინააღმდეგ შემთხვევაში ქურდი გამოვდივარ. როდესაც გავაცნობიერე, რომ ქრისტე ჩემთვის მოკვდა, სრულიად არ აღმოჩნდა რთული მთელი ჩემი ცხოვრება მისთვის მიმეძღვნა.

ისააკ ვოთსმა რამოდენიმე სტრიქონში გადმოგვცა ეს:
მაშინ როდესაც ჩემს ადამიანურ ბუნებას,
მხოლოდ მცირეოდენის შემოთავაზება შეუძლია,
მისი სიყვარულისთვის, რომელიც ასეთი ღვთაებრივია,
დავთმობ ჩემს სულს, ჩემს სიცოცხლეს, ყველაფერს.

ქაუნთ ზინზენდორფმა თქვა, "მე ვფიქრობ, რომ არ ვიქნები ჩემი მაცხოვრის ღირსი, თუ არ შევთავაზებ მას იმას, რაც ყველაზე მეტად მიყვარს."

ხოლო ფილკინკტონი იძულებული გახდა ედიარებინა:
"თუ ის მეფეა, მას ყველაფერზე გააჩნია უფლება."

რამდენიმე წლის წინ, როდესაც მისიონერი, მისტერ უილსონი, მონღოლეთში ერთ-ერთ ჯგუფში ქადაგებდა, მან შეამჩნია მოზრდილი აღნაგობის კაცი. რომელსაც, გვერდით ეჯდა შეშინებული და აკანკალებული ბიჭი. რამდენჯერაც კაცი გაინძრეოდა, იმდენჯერ ეს ბიჭი შეიძრებოდა შიშისაგან. ქადაგების ბოლოს, მქადაგებელმა გაიგო, რომ ეს იყო ბოროტი ბატონი თავის მონასთან ერთად. მან სასწრაფოდ დაიწყო მოლაპარაკებები, რათა გამოესყიდა ბიჭი. მფლობელი მაღალ ფასს ითხოვდა და ბოლოს შეთანხმდნენ.

როდესაც ქრისტიანი სახლში მიდიოდა თავის შენაძენთან ერთად, ის მიხვდა, რომ მონას მისიც ისევე ეშინოდა, როგორც წინა მფლობელის. როდესაც შინ მივიდნენ მან უთხრა ბიჭს, "შვილო, მე დღეს შენ გამოგისყიდე, ახლა შენ მე მეკუთვნი. ამიერიდან შენ თავისუფალი ხარ და შეგიძლია აკეთო ის, რაც გინდა. შეგიძლია ჯუნგლებში დაბრუნდე და იქ იცხოვრო შენს ხალხთან ერთად, ან დარჩე აქ და გახდე ჩემი ოჯახის წევრი."

როგორც კი ბიჭმა გააცნობიერა რას ეუბნებოდა მისიონერი, მან ცრემლიანი თვალებით შეხედა მას და უთხრა," მისტერ უილსონ, მე შენი მონა ვიქნები სამუდამოდ."

ჩვენც იგივე უნდა უთხრათ უფალს: "უფალო იესო, მე შენი მონა ვიქნები სამუდამოდ. ხელები, ფეხები, ხმა, განათლება – ყოველივე შენ გეკუთვნის. შენ ჯვარზე ეცვი და მოკვ-

დი ჩემთვის. ამიერიდან მე შენთვის ვიცხოვრებ."

ის რაც უფალმა გააკეთა ჩვენთვის, გვავალდებულებს ჩვენ მის წინაშე, სწორედ რომ ჩვენი ცხოვრების მიძღვნა იქნება მისთვის სასურველი და მისაღები. (რომაელთა 12: 1,2).

შენი მოყვასი

ჩვენ გვაქვს სხვა ვალდებულებაც, მოყვასის მიმართ. ქრისტიანობა ბუნებით ლოიალურია. ის მოვალეა ბერძენთა და ბარბაროსთა, უგუნურთა და ბრძენთა მიმართ. (რომაელთა 1:4). ის ამოძრავებს ადამიანთა სულებს, რაღაც იდუმალი ძალით, რომელიც ღაღადებს, "ვაი, მე, თუ არ ვახარებ" (1 კორინთელთა 9:16).

ძლიერი ახალგაზრდა ქრისტიანები ყოველთვის გეგმავენ თავიანთ ცხოვრებას ამ პუნქტების გათვალისწინებით:

1. სამყარო ჩვენს ირგვლივ იღუპება.

დღეში ათასობით სული,

ტოვებს სამყაროს უღმერთობაში.

2. დიდი ბედნიერება ელით გადარჩენილებს სამოთხეში, მაგრამ უდუდესი ტანჯვა ელით ჯოჯოხეთში მათ, ვინც ქრისტეს გარეშე მოკვდა.

ქრისტიანებიც უნდა დაფიქრდნენ ჯოჯოხეთზე- მის დაუსრულებლობაზე, სინდისის ქენჯნაზე, მის სიბნელეზე და იქაურ წამებაზე. ისინი უნდა დაფიქრდნენ თავიანთ ნათესავებზე, მეგობრებზე, მეზობლებზე, რომლებიც შეიძლება მალე იქ აღმოჩნდნენ.

3. სახარება რომ ჭეშმარიტება არ ყოფილიყო, ის უკვე მივიწყებული იქნებოდა. და რადგანაც ის ჭესმარიტია, ის აღიარებული უნდა იყოს მსოფლიოს ყველა კუთხეში. კიბოს წამალი რომ ვიცოდეთ და იგი ეგოისტურად დავმალოთ, მისი არსებობა არ გავამხილოთ, ეს მკვლელობის ტოლფასი იქნებოდა. ასევე თუ ვიცით როგორ ვუმკურნალოთ სულებს და ამას არ ვაკეთებთ, ეე არის სულთა მკვლელობა.

ჩვენ, ვისი სულებიც გამსჭვალულია
ზეციური სიბრძნით,
არ გვაქვს უფლება ეს სიბრძნე
მოყვასს დავუმალოთ.

4. კაცობრიობის ამ მოდგმასთან ღვთის სიტყვის მიტანა მხოლოდ ამ მოდგმის ქრისტიანებს შეუძლიათ. ამიტომ ჩვენი ვალდებულება სხვას არ უნდა გადავაბაროთ.

5. ჩვენ მოგვეკითხება, როგორ შევასრულეთ ღვთის უდიდესი დანაბარები (მათეს 28:19,20). ნუთუ გავბედავთ და სამოთხეში იმ სამოსით გადავალთ, რომელიც გასვრილი იქნება უამრავი სულების სისხლით?

6. ყოველი ადამიანი, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ცხოვრების გზაზე, პოტენციურად ერთ-ერთი ძვირფასი ქვაა უფლის გვირგვინში. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ისინი. ამ ფაქტებს თვალი უნდა გავუსწოროთ.

საკუთარი თავი

და ბოლოს, ჩვენი ცხოვრებისეული გეგმები უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს საკუთარ ინტერესებსაც. ერთი შეხედვით ეს შეიძლება ეგოისტურად ჟღერდეს, მაგრამ ასე არ არის, უფალს ჩვენთვის მხოლოდ საუკეთესო სურს და ის ელის, რომ ჩვენ მივიღებთ ისეთ ცხოვრებას, როგორიც მან სიყვარულით დაგეგმა ჩვენთვის.

რა გზით შეიძლება უკეთ ვემსახურო ჩემს ინტერესებს აქ და იმ ცხოვრებაში, რომელიც მომელის? მოდით ქრისტიანები დავფიქრდეთ ამაზე:

1. შესაძლოა დაკარგო სიცხცხლე, მაგრა ამით სული გადაირჩინო.

2. ამ ცხოვრებით ყველაფერი არ სრულდება, შემდეგ მოდის მარადისობა." ცხოვრების დრო არის წვრთნის დრო, მეფობის დროისთვის".

3. შესაძლოა შენი სიცოცხლე ახლა დაგეგმო და ისე წარმართო, როგორც გეგმავ.

4. ერთ დღეს ჩვენ უფლის სამსჯავროს წინაშე წარვსდგებით. რა ჩაგვეთვლება მაშინ? მხოლოდ ის დრო, რომელიც უფლისთვის ვიცოცხლეთ.

5. არის ასევე ალბათობა იმისა, რომ ხელცარიელები შევხვდეთ იმ დღეს:

ნუთუ ხელცარიელი შევხვდე ჩემს მხსნელს,
არც ერთი დღე არ მქონდეს მისთვის მიძღვნილი?
არანაირი ძღვენი არ მივიტანო მის ფერხთით?
ნუთუ ხელცარიელი წარვსდგე მის წინაშე,
არც ერთი სული არ მყავდეს მიყვანილი მასთან?
ნუთუ ხელცარიელი მივალ?

— ლუთერი.

6. აღარაფერი გვეშველება, თუ მის "ყოჩაღ-ს" არ მივიღებთ.

საშინელება იქნება იმის დანახვა, რომ ცხოვრების გზაზე ჩვენ ავცდით ჩვენს მაცხოვარს. რა საშინელება იქნება, როდესაც უფალი დაგვანახებს მოხეტიალე სულს, რომელსაც სჭირდებოდა გამხნევება სიტყვებით "აი უფლის კრავი, რომელმაც იტვირთა შენი ცოდვები", და ჩვენ იქ არ ვიყავით რომ ეს გაგვეკეთებინა.

დავფიქრდებით საკუთარ მისწრაფებებზე და ვკითხავთ საკუთარ თავს?:

1. ვალდებულნი ვართ უფლის წინაშე?
2. ვალდებ'ელნი ვართ კაცობრიობის წინაშე?
3. ჩემი მისწრაფებები მიმიყვანს მე სამოთხეში?

თუ ჩემი მისწრაფებები ამ კითხვებს არ შეესაბამება, მაშინ ისინი არაჯანსაღია და უნდა აღმოიფხვრას.

ცხოვრების უდიდესი ცნება

წინა თავში ჩვენ განვიხილეთ, რომ ყოველი ქრისტიანი ვალდებულია უფლის, ო მოყვასის და საკუთარი თავის წინაშე: მოყვასის წინაშე იმიტომ, რომ, ქრისტეს გარეშე ის მარადიული ტანჯვისთვისაა განწირული; საკუთარი თავის წინაშე იმიტომ, რომ, ერთ დღეს ის წარსდგება უფლის სამსჯავროზე და მთელი მისი ცხოვრება თვალწინ გადაეშლება.

როგორ მოახერხებს ქრისტიანი ამ გამოწვევების მიღებას და საუკეთესოდ აღსრულებას? თუ ის მხოლოდ საკუთარი თავისთვის იცოცხლებს, უმნიშვნელო იქნება ამ ცხოვრებაში და ძლიერ გაუჭირდება მომავალში.

თუ ის ცხოვრობს ზოგადად კეთილგანწყობით მოყვასის მიმართ, მაგრამ არა სახარებისეულად, ეს არჩაითვლება წმიდა ცხოვრებად, რადგან, მთავარი, რაც ადამიანს სჭირდება, არის ქრისტე, მის გარეშე ისინი სამუდამოდ დაიტანჯებიან.

მეორე მხრივ, თუ ადამიანი სრულიად მიენდობა ღმერთს, არ იქნება შეცდომაში, რადგან მას, ვისაც ძლიერ უყვარს უფალი, მისი შეწევნით სხვებსაც ბიბლიური პრინციპებით დაეხმარება.

ქრისტიანის ცხოვრების წარმატების საიდუმლო სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თავი სრულად მიუძღვნას ღმერთს.

ეს იწყება გულწრფელი აღიარებით, რომ ჩვენ არ ვიცით რა არის უკეთესი ჩვენთვის. იერემიამ თქვა," ვიცი, უფალო, რომ ადამიანის ხელთ არაა მისი გზა, რომ მავალი ვერ წარმართავს თავის ნაბიჯებს." (იერემია 10:23).

ასევე ღრმად უნდა ვიყოთ დარწმუნებულები იმაში, რომ უფალი "უკეთ დაგეგმავს" ჩვენს ცხოვრებას, რომ ჩვენ მისგან საუკეთესოს მივიღებთ თუ გულწრფელად გვსურს ეს.

თუ ამისი ნამდვილად გვჯერა, მაშინ ჩვენ მივიღებთ ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებას, რომ სრულიად მივუძღვნით ჩვენს ცხოვრებას ღმერთს. სრულიად

მიძღვნა ნიშნავს ყველაფრის მიცემას- სულის, სხეულის. მიუძღვნათ ყველაფერი რაც ჩვენშია და რაც გვაქვს. ეს ნიშნავს უპირობო მორჩილებას. ეს ნიშნავს სავსებით მინდობას მისდამი.

ბეტი სტემმა უფალს მიუძღვნა თავი გათხოვებამდე 9 წლით ადრე. მან ასეთი ჩანაწერი გააკეთა თავის ბიბლიაში:

უფალო, შენთვის მომიძღვნია მთელი ჩემი გეგმები, იმედები და მისწრაფებები (იქნება ეს ხორციელი, თუ სულიერი), მე შენ გღებულობ ჩემს ცხოვრებაში. გიძღვნი ჩემს ცხოვრებას, ჩემს თავს, ყველაფერს შენ, რომ შენი ვიყო სამუდამოდ. ყველას ვინც მე მიყვარს მეორე ადგილი უჭირავს ჩემს გულში. ამავსე შენი სული წმინდით. მაცხოვრე ქრისტეში.

ბორდენმა იელიდან დადო აღთქმა სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე. ის ცერებრალური მენინგიტით დაიღუპა ეგვიპტეში;

უფალო იესო, ჩამომიშვია ხელები დ ჩემი სიცოცხლის დარჩენილი დროის განმავლობაში, შენ გსვამ ჩემი გულის ტახტზე. გამომცვალე, გამასუფთავე, გამომიყენე. მე გთხოვ სულიწმინდის ძალას და მადლობელი ვარ შენი.

ეს არის სწორედ გამოძახილი მაცხოვრის სიტყვებზე რომელიც ლოცულობდა გეთსიმანიის ბაღში, " არა ჩემი ნება მამაო, არამედ შენი."

ასე უნდა მოიქცეს ყოველი სული, რომელსაც სურს წინსვლა უფალში. ჩვენ უნდა ვთქვათ უარი საკუთარ სურვილებზე და მივანდოთ ყოველივე უფალს, სიტყვებით:

მე გავაკეთებ იმას,რაც შენ გინდა რომ გავაკეთო;
წავალ იქ, სადაც შენ გინდა რომ წავიდე;
ვიტყვი იმას, რაც შენ გინდა რომ ვთქვა;
ვიქნები ის, ვინც შენ გინდა რომ ვიყო.

როდესაც ეს უპირობო მორჩილება მიძღვნილი იქნება უფლის მიმართ, ის ყოველ დღიურად უნდა გავიმეოროთ. მორწმუნემ გამუდმებით უნდა მიუძღვნას თავი უფალს. ის არის მონა, რომელიც ელოდება თავისი ბატონის ბრძანებებს.

რა მოხდება შემდეგ? ადამიანი რაიმე ფიზიკურ ცვლილებას განიცდის? იქნება რაიმე ემოციური კრიზისი? ან საპასუხო ცეცხლი ზეციდან?

არ იქნება რაიმე გარეგნული ნიშანი ან ჩვენება. უბრალოდ იქნება დარწმუნება იმაში, რომ უფალმა ყველაფერი გაიგონა ზეცაში და შენი მიძღვნაც მიღებულია. ისევე როგორც გვწამს, რომ ის გვღებულობს ჩვენ , როგორც ნაპატიებ ცოდვილებს, ასევე უნდა გვწამდეს, რომ ის გვღებულობს ჩვენ, როდესაც მივდივართ მასთან როგორც ცოცხალი შესაწირავი.

ამის შემდეგ, შეიძლება ცხოვრება რთულად მოგვეჩვენოს. შეიძლება ყოველდღიური სამუშაო მოსაწყენი იყოს. მაგრამ უდიდესი მადლია იმის ცოდნა, რომ გზა რომელსაც შენ გაივლი გაკვალული იყო შენთვის. უფალი ყოველთვის დაგეხმარება გასაჭირის დროს. ნაბიჯ-ნაბიჯ ის წარგიძღვება შენ. შეამჩნევ რომ ყველა პრობლება გვარდება, და დაინახავ ისეთ შესაძლებლობებს, რომლებსაც საკუთარი ძალებით ვერ აღმოაჩენდი. ასევე, შესაძლოა უფლის წინამძღოლობა ზოგჯერ გაუგებარი იყოს შენთვის.

მაგრამ, როდესაც გადახედავ იმ წლებს, რომლებიც უფალს მიუძღვენი, მიხვდები, რომ იგი მიმართავდა შენს ცხოვრებას მხოლოდ საუკეთესო გზით.

რთული იქნება დიდხანს ლოდინი, მტკივნეული ცდა, რომ საქმეები უკეთ წავა, მაგრამ ეს აუცილებელია წვრთვნისათვის.

ყოველთვის იქნება უკან დახევის საშიშროება. ერთმა ქრისტიქნმა ასეთი დევიზი მიაკრა თავისი ოთახის კედელზე: " უფალო, ყველაფრის ფასად შენთან მამყოფე." ჩვენ მას დაუფიქრებლად უნდა მივუძღვნათ მსხვერპლი, რადგან არავინ გამოდგება ვისაც გუთანი უჭირავს ხელში და უკან იყურება, (ლუკა 9:62).

რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ არასოდეს ვიტყვით, რომ უფლისადმი მიძღვნილ ცხოვრებაში იყო უკან დახევა ან წუხილი. ეს არის ცხოვრება, რომელიც ნამდვილად ღირსეულია.

ყოველმა ჩვენგანმა უფლის თანდასწრებით უპასუხოს შემდეგ კითხვებს:

მიგიცია ოდესმე ცხოვრების უდიდესი აღთქმა?

ისევ ებრძვი უფალს, და ეჭიდები იმ ცხოვრებას, რომელიც სინამდვილეში მას ეკუთვნის?

აქვს რაიმე, რაც არ გაგემეტება მხსნელისათვის რომელიც შენთვის მოკვდა?

არის რომელიმე ადგილი, სადაც რა გინდა წახვიდე?

გეშინია იმისა, რომ უფალმა შეიძლება მსახურება მოგთხოვოს ისეთ სფეროში, რომელიც შენს სიამაყეს ეწინააღმდეგება?

გაბედავ ახლავე დაუბრკოლებლად მიუძღვნა შენი ცხოვრება ქრისტეს?

გაბედავ რომ ეს არ გააკეთო?

საქმიანობის როლი

როდესაც უფლისადმი მიძღვნის საკითხი უკვე განვიხილეთ, ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს თავდაცვითი შეკითხვა, "მაგრამ, ხომ უნდა ვიარსე?" გვაქვს სამი პუნქტი:

1. ჩვენ უნდა ვიარსებოთ.

2. ისინი, ვინც მიუძღვნეს საკუთარი ცხოვრება ქრისტეს, ავტომატურად მუშაობენ სრულ რეჟიმში და არ რჩებათ დრო არსებობისთვის.

3. არის ტანჯვის დიდი ალბათობა როდესაც უფლის გზაზე დგახარ, ვიდრე მაშინ, როდესაც წუთისოფლისათვის შრომობ.

ეს ცრუ მიზეზებია, რადგან, პირველ რიგში, ჩვენ არ გვჭირდება ბრძოლა არსებობისთვის. უფლის შვილებს არ სჭირდებათ მათი გარდასვლის დროის ან სახის ცოდნა. ჩვენ იმდენ ხანს ვიცოცხლებთ, რამდენიც მას სურს. იმ დრომდე, სანამ უკვდავები არ გავხდებით.

ეს შეცდომაა მეორე მიზეზითაც, ქრისტიანი ყოველთვის უნდა მუშაობდეს უფლისათვის სრულ რეჟიმში. ზოგიერთისთვის შეიძლება ოფისი იყოს მისიონერული მოღვაწეობოს არეალი, სხვებისთვის სამზარეულო. ზოგი დამოწმებას აკეთებს აფრიკაში, ზოგიც ამერიკაში.

საბოლოოდ, ეს სიცრუეა იმიტომ, რომ მათ, ვინც ქრისტეს ინტერესები წინა პლანზე დააყენეს გარანტირებული აქვთ ცხოვრების მარადიულობა.

"თქვენ კი უწინარეს ღვთის სასუფეველი ეძიეთ და მისი სიმართლე, და ეს ყოველივე შეგემატებათ". (მათე 6:33).

მოდით დავფიქრდეთ საქმიანობის როლზე ქრისტიანის ცხოვრებაში.

1) უფლის დადგენილია, რომ ადამიანმა საკუთარი შრომით მოიპოვოს პური.

შენი პირის ოფლით ჭამდე პურს (დაბ 3:19), ექვსი დღე იმუ-

შავე, (გამოსვლა 20:9), ვისაც შრომა არ სურს, ის ნუღარც ჭამს. (2 თეს 3:10).

შრომაში ცუდი არაფერია, პირიქით, ეს კურთხევაა უფლისგან.

2) პროფესიის ან საქმიანობის შერჩევისას ქრისტიანები უფლის წინამძღოლობით უნდა მოქმედებდნენ, რადგან შემდეგ ამ ცოდნით უნდა ემსახურონ მას.

3)რა შეიძლება იყოს საევანგელიზაციო საქმიანობაზე უკეთესი. უდიდესი რამ არის იმის განცდა, რომ შენი სამსახური დაკავშირებულია უფალთან, ასრულებ მის ნებას და მიდიხარ სადაც ის გაგზავნის.

4) არასწორია განვარჩიოთ ერთმანეთისაგან, "წუთისოფლის" სამუშაო და " კურთხეული" სამუშაო, რადგან ყოველი სამუშაო კურთხეულია, თუ მასში უფალი განდიდდება. ამასთან დაკავშირებით გემბელ მორგანმა დაწერა:

ფრაზა "ჩვეულებრივი სამუშაო" ამოღებული უნდა იყოს მოხმარებიდან. ქრისტე გვასწავლის, რომ ყოველი შრომა წმიდაა თუ მშრომელია წმიდა. ამას საკამათოდ არ ვამბობ, არცერთ ადამიანს არა აქვს უფლება თავს წმინდანი უწოდოს მხოლოდ იმიტომ, რომ მოძღვარია ან აქვს რაიმე მსახურება. უბრალო ადამიანი, რომელიც ხვალ დილით წავა სამუშაოზე ზურგჩანთი, რომელიც გატენილია სამუშაო იარაღებით, შევა საამქროში, და იქ დაინახავს ხის მასალას, რომლსაც უფლის სამსახურისთვის საჭირო ჭურჭლად გამოიყენებს, იგივეა რაც ღვთის მსახური, რომელმაც დამოძღვრა ის. ყოველი სამუშაო კურთხეულია.

5)როდესაც ვეძებთ უფლის წინამძღოლობას ჩვენს საქმიანობაში, უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ჩვენი ნიჭის მიხედვით გვიყენებს.

6) ნათელია, რომ უფალი არასოდეს დატოვებს მორწმუნეს გაუგებარ სიტუაციაში, ასევე მორწმუნეც არ უნდ ჩაებღაუჭოს იმ სამსახურს რომელიც უფლის ნებას ეწინააღმდეგება.

7) ყველაზე მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სამსახური

არაა მთავარი, ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასასრული. მისტერ არის სახელოსნო იმსახურებს იმ დიდებას რომელიც მას აქვს. როდესაც ეკითხებიან რა არის მისი მთავარი საქმიანობა ცხოვრებაში, ის პასუხობს, " ჩემი საქმე სახარების სწავლება; ფეხსაცმელებს ვაკეთებ იმისათვის, რომ ხარჟები გავისტუმრო."

იგივე ისტორია უკავშირდება ჯონ ვანამაკერს, მაღაზიათა ქსელის დამაარსებელს, რომელიც მის სახელს ატარებს. როდესაც მას ჰკითხეს, თუ როგორ გამონახა ასეთმა დაკავებულმა ადამიანმა დრო საკვირაო სკოლისთვის, მან უპასუხა," საკვირაო სკოლა ჩემი ძირითადი სამუშაოა! სხვა დანარჩენი უმნიშვნელოა. 55 წლის წინ მივხვდი, რომ უფლის სიტყვები 'ჯერ ღვთის სასუფეველი ეძიეთ, დანარჩენი კი მოგეცემათ' – ჭეშმარიტია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს! უპირველესი უფლის ინტერესებია! იზნესი კი მეორეხარისხოვანია. საშიშროება ჩნდება მაშინ, როდესაც წუთისოფლის სამსახური უფრო მეტად ფასეული ხდება. როგორც აქლემი შემოღობავს ხოლმე კარვის კიდეებს, ასევე სამსახურმაც შეიძლება შეავიწროოს ადამიანი. შეიძლება ნელ- ნელა ჩამოაშოროს ღვთის მსახურებას, რადგან მისი დროის უმეტესობა სამსახურს დაუთმოს.

საბოლოოდ კი ისეთ შედეგს ვღებულობთ, რომ მორწმუნე უბრალოდ თაღლითობს უფლის წინაშე. როგორც ჯოვეტი ამბობს, ის ხდება "წარმავალი საწარმოს უბრალო მოხელე", "სამსახურზე ჩაბღაუჭებით" ის კარგავს უფრო მნიშვნელოვანს ცხოვრებაში.

8) როდესაც ვამბობ, რომ წუთისოფლის სამსახური უნდა იყოს მეორეხარისხოვანი, არ ვგულისხმობ იმას, რომ მას უნდა მოეკიდო უინტერესოდ და უპატივცემულოდ. ქრისტიქნის მიერ ის შესრულებული უნდა იყოს ფრთხილად, გულიანად, ისე თითქოს ამას უფლისათვის აკეთებ. მან პატიოსნად უნდა იმუშაოს ყოველი საათი იმ დროისა, რაშიც გასამრჯელოს იღებს.

ხშირად რთულია ქრისტიანისთვის შეათავსოს დამსაქმებლის მოთხოვნილებები და უფლისადმი ვალდებულება ერთმანეთს. ზუსტი ბალანსის შენარჩუნება ყველას არ შეუძლია. თუმცა, ერთი რამ ჭეშმარიტია! თუ ადამიანს ნამდვილად უნდა, რომ ემსახუროს უფალს, უფალი არ დაუშვებს, რომ იგი ლუკმა პურის გარეშე დარჩეს. თუმცა შეიძლება რამდენჯერმე მოუხდეს სამსახურის გამოცვლა.

9) უფალმა იესომ თქვა, " დაანებე მკვდრებს თავიანთი მკვდრების დამარხვა. შენ კი წადი და იქადაგე ღვთის სასუფეველი"(ლუკა 9:60). ყველას შეუძლია მკვდრის დამარხვა, მაგრამ მხოლოდ დახსნილ ბაგეს შეუძლია დაამოწმოს უფლის მადლზე.

10) არასოდეს არ უნდა გვსურდეს უკანონო მოგების მიღება, რადგან არასწორია უფლის თვალში. რასოდეს გააკეთოთ სამსახურისთვის ის, რისი გაკეთებაც ეკლესიისთვის შეგეზიზღებოდათ.

11) ყოველთვის, როდესაც ადამიანი თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებს და უფლის წინაშე თავმდაბლობით გამოირჩევა, უფალი განადიდებს მას მისი მოღვაწეობის ყველა სფეროში. შეიძლება ის მთელ თავის დროს სწირავდეს უფლისადმი სამსახურს. აწარმოებდეს ევანგელიზაციურ სწავლებებს შინ ან საზღვარგარეთ. ასაეთ შემთხვევაში ქრისტიანს შეუძლია შიშის გარეშე იმოღვაწეოს, რადგან მის ყოველდღიურ მოთხოვნილებებზე უფალი იზრუნებს. როდესაც უფალი მოგვიხმობს, ის ასევე გვპირდება. როგორც ჰადსონ ტეილორი ამბობდა, " სამუშაო, რომელიც უფლისათვის სრულდება უნაკლოა, და მას ყოველთვის ამარაგებს უფალი."

12) დღევანდელ დღეს, როდესაც მსოფლიოში ადამიანის პროფესია და მიღწევები ბიზნესში უფრო ფასდება, კარგი იქნებოდა ქრისტიანებისთვის, რომ ამას უდარდელად შეხედონ. ემსახურო უფალს მცირედში უკეთესია, ვიდრე რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულების დირექტორი იყო.

თუ ღმერთის ნებაა, რომ ნაგვის შემგროვებელი იყო, უკე-

თესია ეს საქმე აკეთო, ვიდრე შეერთებული შტატების პრეზიდენტი გახდე მისი ნბის წინააღმდეგ.

ეს არის ის განსახილველი პუნქტები, რომლებიც ქრისტიანებმა უნდა აწონ- დაწონონ საქმიანობის შერჩევამდე. ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ გარკვეული სამსახური უფლის წინამძღოლობით მიიღო, და არა იმისთვის რომ თავი დააღწიოს უფლისადმი თავისი თავის უპირობო მიძღვნას.

თავის გამართლება, თვალის ახვევა და ალიბი

როდესაც ქრისტე რაიმე მოთხოვნას გვიყენებს, ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ცდილობს, თვალი აუხვიოს უფალს, თავი გაიმართლოს ან მოძებნოს რაიმე ალიბი. ჩვენ ერთი ასეთი მაგალითი უკვე განვიხილეთ,– "მე ხომ უნდა ვიარსებო?" ახლა მოკლედ გადავხედოთ სხვა მაგალითებსაც, როდესაც მაცხოვარს ეუბნებიან "არას."

ყველაზე ხშირი გამოთქმა არის– " მე უნდა ვიფიქრო საკუთარ მომავალზე".

რამდენიმა წლის წინ, ერთი ახალგაზრდა კაცი ფიქრობდა, რომ მიეძღვნა თავისი ცხოვრება უფლისათვის და რაიმე გზით ჩართულიყო მსახურებაში. ის ორ ცეცხლს შუა იყო, რადგან არჩევანი უნდა გაეკეთებინა, ან ღვთის სამსახური, ან კარგი თანამდებობა ბიზნესის სამყაროში. მან აზრი ჰკითხა ორ გამოცდილ ქრისტიანს, რომლებიც თავის მხრივ ცნობილები იყვნენ პროფესიულ ცხოვრებაში. მათ კონსულთაცია გაუწიეს მას და უთხრეს, რომ არ უნდა დათმოს თავისი სამსახური, რაც ასეთი სატყვებით გამოხატეს, " გახსოვდეს, საკუთარ მომავალზე უნდა იფიქრო!"

ის დარჩა თავის მაღალ – ანაზღაურებად სამსახურში, მაგრამ, რა ვოქვათ, ჭეშმარიტად ფიქრობდა თავის მომავალზე?

იყვნენ სხვებიც, რომლებმაც თქვეს," მაგრამ ვინმე ხომ უნდა დარჩეს სახლში!" ასეთი ადამიანები შორს არიან იმათგან, ვინც უფლის სამსახურში პირველ ხაზზე იბრძვიან. ისინი უბრალოდ ცდილობენ შენიღბონ თავიანთი უარი უფლის მიმართ.

მართალია, რომ უფალი სახლშიც იყენებს ადამიანებს სახარების საქადაგებლად, მაგრამ ნამდვილად არასწორია, რომ

ამდენი ჯანმრთელი, ძლიერი, მხნე მამაკაცი ზის სახლში, მაშინ, როდესაც მათი სუსტი, მოკრძალებული სულიერი დები ღვთის სიტყვის გასავრცელებლად მიდიან უამრავ სახიფათო ადგილებში.

ზოგი იმიზეზებს იმას, რომ მათი ტალანტი და განათლება უფრო დიდი საქმისთვის უნდა გამოიყენებოდეს ვიდრე "ქრისტეს სამსახური." ისინი ყოყმანობენ თავისი გული სრულიად მიუძღვნან ღმეროს, რადგან თვლიან, რომ უფალი მათ იმ სამსახურისთვის მოუწოდებს, რომელიც " მათ დონეზე და ღირსებაზე დაბლა დგას". ამაზე პასუხი მარტივია: ჩვენი გადასაწყვეტი არ არის სად გამოვიყენოთ ჩვენი შესაძლებლობები. უფრო მეტიც, დიდი უპატივცემულობაა უფლის მიმართ იმაზე ფიქრი, რომ ის რაც ჩვენ გაგვაჩნია ზედმეტად კარგია მისთვის. ყველაფერი, რაც გაგვაჩნია, მისგან მივიღეთ. და თუ მართლა გვაქვს კარგი განათლება და ტალანტი, საუკეთესო გამოყენება მათთვის, უფლის განგმირულ ფერხთით ყოფნა იქნება. პაველ ინტელექტუალური გიგანტი იყო, უზარმაზარი ღვთის მუშაკი და უსაზღვრო გენიოსი. ამ საკითხებთან დაკავშირებით მან დაწერა:

მაგრამ, რაც ჩემთვის მოგება იყო, წაგებად ჩავთვალე ქრისტეს გულისთვის. ახლაც ყველაფერი წაგებად მიმაჩნია ჩემი უფლის იესო ქრისტეს ცოდნის უპირატესობისთვის, რის გამოც უარი ვთქვი ყოველივეზე და ყველაფერს ნაგვად მივიჩნევ, რათა ქრისტე შევიძინო. (ფილ 3:7,8).

თავის არიდების შემდეგი ნაირსახეობა არის, " საშინაო ვალდებულებები." მშობლები, ცოლი ან შვილები! ნუთუ გასამართლებელი მიზეზია ის, რომ უფალმა ეს საყვარელი ნათესავები იმასთვის მოგვცა, რომ საკუთარი თავი მათ მივუძღვნათ? უფალი არასოდეს აიძულებს მორწმუნეს, რომ უგულებელყოს თავისი ვალდებულებები ოჯახის წინაშე.

ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა გვიყვარდეს უფალი " მამაზე, დედაზე, ცოლზე, შვილზე, ძმაზე და დაზე" მეტად, საკუთარ სიცოცხლეზე მეტად. (ლუკა 14:26).

ზოგიერთი გულწრფელი ქრისტიანი ყოყმანობს, სრულიად მიუძღვნას თავი ქრისტეს, რადგან ფიქრობს, რომ საკმარისად დაჯილდოებული არ არის. არა აქვს საკმარისი ნიჭი. არ არის აუცილებელი იყო დაჯილდოებული, რომ მიენდო უფალს! უფალს განსაკუთრებით ცარიელ ჭურჭელთან უყვარს მუშაობა. გარდა ამისა, ქრისტეს სხეულის ყოველ წევრს აქვს გარკვეული ნიჭი, და იმისათვის რომ ის აღმოვაჩინოთ, უნდა ვაღიაროთ ქრისტე უფლად.

შესაძლოა ყველაზე პათეტიკური თავის მართლება ასე ჟღერდეს," უფალს არ სურს რომ ყველაფერი მას შევწირო; მას უბრალოდ უნდა იცოდეს მე რა მსურს." წარმოიდგინეთ ჯარისკაცები ბრძოლის პირველ ხაზზე. როდესაც შეტევაზე გასვლის ბრძანებაა მიცემული, ამ დროს ისინი აპრიალებენ თავიანთ შაშხანებს და ამბობენ; " გენერალს სინამდვილეში არ სურს, რომ ჩვენ შეტევაზე გადავიდეთ; მას უნდა იცოდეს ჩვენ რა გვსურს." არც ერთი ბრძოლა არ იქნებოდა მოგებული ასეთი შეხედულებით, გვეცოდინებოდა მხოლოდ მარცხის ისტორია.

ეს ყველაფერი არის უბრალოდ თავის მართლება, რათა არ მივუძღვნათ თავი უფალს. ეს თავის მართლებაა და არა მიზეზი. რადგან არანაირი მიზეზი არ არსებობს იმისთვის, რომ არ დაუდოთ აღთქმა უფალს.

ის კიდევ ერთხელ გეუბნება შენ, " შვილო ჩემო, მომეცი შენი გული!" რას შესთავაზებ მას?

თავის მართლებას? თუ საკუთარ თავს?

ვნებიანი ცხოვრება

თუ ვამბობთ, რომ უფალი იესო ყველაფერს იმსახურებს, ეს ნიშნავს, რომ ის ჭეშმარიტად ყველაფერს იმსახურებს! თუ ის ჩვენთვის მოკვდა, ჩვენც უნდა მოვკვდეთ მისთვის! თუ მან თავისი სხეული ჩვენთვის შესწირა, ჩვენც უნდა შევწიროთ ჩვენი სხეული მისთვის!

ქეშმარიტ ქრისტიანს უყურებენ როგორც ფანატიკოსს. ის ხდება ზიზღისა და დაცინვის ობიექტი. ის ფეხს არ უწყობს ცხოვრების დინებას, არ ხდება თავისი გარემოცვის თანამოაზრე.

იდეალური მორწმუნე ცხოვრობს ვნებიანი ცხოვრებით. ის ცეცხლში ჩადგება ქრისტეს გულისთვის. ის გავს ქაუნთ ზინზენდორფს, რომელიც ამბობს, "მე მხოლოდ ერთი ვნება და მისწრაფება მაქვს: ეს არის, მხოლოდ უფალი."

ჭეშმარიტი უფლის კაცი არ თვლის, რომ უფლისთვის გაღებული რაიმე მსხვერპლი ზედმეტად კარგია. მისი ფული, მისი დრო, მისი ცხოვრება უფლის განკარგულებაშია, და ისინი ბედნიერები არიან ამით.

რობერტ არტინგტონივით ისინი ამბობენ: "სიხარულით ვაქცევდი იატაკს ჩემს ლოგინად, ყუთს სკამად და სხვა ყუთს მაგიდად, ოღონდ კი უფალს ვიცნობდე."

უფლის მიმდევრები არ არიან უბრალო ადამიანები. ისინი თავიანთი სურვილების წინააღმდეგ მიდიან. ისინი უარს ამბობენ წუთისოფლისეულ ბორკილებზე. ქრისტეს გულისთვის ისინი თმობენ ყველაფერს, რასაც სხვები აუცილებლობად მიიჩნევენ. ისინი არ სცემენ ბრძანებებს, არამედ ემორჩილებიან.

ერთგული ქრისტიანი არის როგორც პილიგრიმი, დახეტიალობს უცხო მხარეებში და ამოწმებს უფლის სიტყვას.

ეს არის ადამიანი, რომელსაც არ ადარდებს გაიჩენს თუ არა მეგობრებს, არც ცხოვრობს სიმდიდრის მოხვეჭის იმე-

დით. არ ფიქრობს სიცოცხლეზე და არ ეშინია სიკვდილის. არა აქვს რაიმე მაღალი წოდება, ან მდგომარეობა; ესარის ადამიანი მხოლოდ ერთი აზრით, ღვთის სახარება; ადამიანი ერთი მიზნით, უფლის მადლისთვის; წუთისოფელმა შეიძლება უწოდოს მას ენთუზიასტი, ფანატიკოსი, ჭორიკანა ან სხვა საკვირველი რამ. შეიძლება უწოდონ მას მოღალატე, საღი აზრის არ მქონე, დაე ილაპარაკონ, მათ ან უნდა ილაპარაკონ, ან მოკვდებიან ბოდმით. მორწმუნე კი, რომც მოკვდეს, მაინც ილიპარაკებს. მორწმუნეს არა აქვს მოსვენება, ის ხან ხმელეთზეა, ხან ზღვაში, ხან კლდეებზე, ხანაც უდაბნოში. ის ხმამაღლა აუწყებს, თავს არ ზოგავს, და ხელსაც ვერავინ შეუშლის. ის ციხეშიც იმაღლაბს ხმას და ოკეანის გრიგალშიც არ არის წყნარად. სასტიკი კონსულებისა და მეფეების წინაშე ის ამოწმებს თავისი ჭეშმარიტების სასარგებლოდ. ვერაფერი ჩაახშობს მის ხმას, მაშინაც კი, როდესაც ცეცხლი უკიდია, ის სულის შეხუთვამდე ლოცულობს, ამოწმებს, ის ევედრება უფალს, და ბოლოს აკურთხებს კიდეც სასტიკ ადამიანებს.

ასეთ ადამიანს ეძებს დღეს უფალი იესო.

ის ეძებს, როგორც ყოველთვის. უბრალოდ ბრბოს კი არა, რომელიც უმიზნოდ დაეხეტება მის ნაკვალევზე, არამედ ინდივიდუალურ პიროვნებას, რომლისგანაც გადმოსჩქეფს ერთგულება, როდესაც გააცნობიერებს, რომ უფლის მიერაა არჩეული.

მას სჭირდება ისეთი ადამიანი, როგორიცაა როულანდ ჰილი, რომელიც ამბობს," ღვთის სიტყვა გადმოსჩქეფს გულიდან," ან როგორიცაა ჰენრი მარტინი," დაე, ფერფლად ვიქცე უფლის გამო."

დღევანდელ ახალგაზრდობას სურს, რომ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ბიზნესს დაუთმოს. მათ სურთ თავი გასწირონ სამშობლოსთვის. მსოფლიოს შემოივლიან კარგი

გასამრჯელოს გულისათვის. დღე და ღამე იმუშავებენ პოლიტიკური პარტიისთვის.

იმისთვის, რომ გახდნენ მუსიკოსები, თითებს ძვლებამდე დაიყვანენ. იმისთვის რომ გახდნემ მღვდლები, საზეიმო ფიცს დადებენ და ცოლს არ შეირთავენ. იმისთვის, რომ გახდნენ მსახიომები დაიმახსოვრებენ გრძელ და რთულ ტექსტებს. შენ რა გსურს რომ გააკეთო უფალი იესო ქრისტესთვის? არა ნაწილი ან ნახევარი შენი გულისა; მზად ხარ რომ მისცე მას ყველაფერი სრულად?

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის